N2019/08/22-1

22.08.2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „მტკვარი ჰესი“ ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ახორციელებს 53 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს. ჰესის შემადგენლობაში შედის სათაო ნაგებობა (მიწის კაშხალი, წყალსაგდები, თევზსავალი, წყალმიმღები), სადაწნეო გვირაბი, სადაწნეო მილსადენი და ძალური კვანძი.

პროექტის შესაბამისად, სადაწნეო გვირაბის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 9.6 კმ-ს, ხოლო შიდა დიამეტრი 5.26 მ-ს. გვირაბის გაყვანა ხორციელდება გვირაბგამყვანი მანქანის (TBM) საშუალებით. 2017 წლის დასაწყისში, როცა გაყვანილი იყო გვირაბის 7.3 კმ, გვირაბის დერეფანში გამოვლინდა არახელსაყრელი გეოლოგიური პირობები, მონაკვეთზე დაფიქსირდა ქანების ჩამოშლა, რამაც გამოიწვია გვირაბგამყვანი მანქანის ბლოკირება და გვირაბის გაყვანის სამუშაოების შეფერხება 18 თვით, 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ივნისამდე. გვირაბის გაყვანის სამუშაოების აღდგენა მოხდა 2019 წლის 23 ივნისს. გეოლოგიური პირობები გვირაბში კვლავ რთულია (ფიქსირდება თიხოვანი გრუნტები, არგილიტები და ქვიშაქვები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სამუშაოებს). მოცემულის გათვალისწინებით საჭირო გახდა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, რაც ითვალისწინებს სადაწნეო გვირაბში შესასვლელი ორი დამატებით გვირაბის მოწყობას ჩრდილოეთ პორტალთან და TBM ადგილმდებარეობის სიახლოვეს (ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია) და საჭიროების შემთხვევაში გვირაბის გაყვანის მეთოდოლოგიის ცვლილებას.

სადაწნეო გვირაბში 2 დამატებით შესასვლელი გვირაბის მოწყობის პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ადგილი ექნება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას (გვირაბის გაყვანის ტექნოლოგიის (პირობების ცვლილება), რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

წერილს თან ერთვის:

- მტკვარი ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის დანართი N2 - საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში - 1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 12097
"22" 08 2019 წ.
+ 02 +


საქართველო, ქ.თბილისი 0102. ე. ახვლედიანის ხევი #3, I სართული.
#3. El. Akhvlediani Valley. 1st Floor, 0102 Tbilisi, Georgia. Tel: +995 32 - 2 916 949 e-mail: info@hpp.ge

ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები და საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - CD დისკზე.

პატივისცემით

ალექსანდრე ოქროშიძე

დირექტორი